<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ჰ^{59}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{60}“ ქვეპუნქტი:

„ჰ^{60}) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დიპლომატიის აკადემია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პოლიტიკის მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და პოლიტიკის მეცნიერებებისა და დიპლომატია-საერთაშორისო ურთიერთობებში სამაგისტრო პროგრამებს და რომლის მიმართ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ან ამ კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.“.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით საჯარო სამართლის იურიდიული პირს - დიპლომატიის აკადემიას ანიჭებს უფლებამოსილებას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.“.

3. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ^{2}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{3}“ ქვეპუნქტი:

„თ^{3}) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის წესდების პროექტზე გასცემს დასკვნას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით;“.

4. 8^{7} მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^{8} მუხლი:

„მუხლი 8^{8}. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის მიმართ

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ კანონით დადგენილი წესით:

ა) სამინისტროს დასკვნის გათვალისწინებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ამტკიცებს სსიპ - დიპლომატიის აკადემიის წესდებას;

ბ) პასუხისმგებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის მიერ საქართველოს ნორმატიული აქტების შესრულებაზე;

გ) უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის პროგრამულ დაფინანსებას ან/და ახორციელებს მისგან მომსახურების შესყიდვას;

დ) მონაწილეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პირობების შემუშავებაში.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დიპლომატიის აკადემია უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა და მისი წესდებით გათვალისწინებული სხვა საგანმანათლებლო კურსები/პროგრამები.

3. ამ კანონსა და დიპლომატიური სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება დიპლომატიური სამსახურის საქმიანობის სპეციალური მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის წესდებით შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურისგან განსხვავებული სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მართვის ორგანოები, აგრეთვე დადგინდეს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დაკომპლექტებისა და რექტორის თანამდებობის დაკავების განსხვავებული წესები.

5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროებიდან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის ფუნქციები, მოვალეობები და საქმიანობის წესი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სპეციალური კანონმდებლობით შეიძლება ამ კანონისგან განსხვავებულად განისაზღვროს.“.

5. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (გარდა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა, აგრეთვე სამხედრო, საპოლიციო, სახელმწიფო უსაფრთხოების, საზღვაო, სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიისა) სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესებით, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების - სამხედრო, საპოლიციო, სახელმწიფო უსაფრთხოების, საზღვაო, სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ შესაბამისი ორგანოები.“.

6. 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამხედრო, საპოლიციო, სახელმწიფო უსაფრთხოების, საზღვაო, სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დიპლომატიის აკადემიისა) რექტორობის კანდიდატად შეიძლება განისაზღვროს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილ პირობებს.“.

7. 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამხედრო, საპოლიციო, სახელმწიფო უსაფრთხოების, საზღვაო, სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიისა) წესდებით დეკანად შეიძლება აირჩეს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ სამხედრო, საპოლიციო, სახელმწიფო უსაფრთხოების, საზღვაო, სახელოვნებო-შემოქმედებით და სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დიპლომატიის აკადემიაში დეკანის არჩევის/დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.“.

8. 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე²“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე³“ ქვეპუნქტი:

„ე³) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დიპლომატიის აკადემიისთვის, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**